ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №9

ქალაქი ქუთაისი
31 იანვარი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბიროს დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
5. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
6. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
7. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
8. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
9. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
10. ლია გვენეტაძე - მწერალი ჟურნალისტი;
11. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
12. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
13. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდა: ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც წევრებმა დაამტკიცეს შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. სხვადასხვა:

1. თეთრი ხიდზე სტიკერების გაკვრის გამო მოქალაქის დაჯარიმება - თორნიკე ბარათაშვილი;
2. ჯარიმის გაუქმება და სიტყვის თავისუფლების სტანდარტის დაცვა - გოჩა ჩხეტია;
3. ნიკეა-თაბუკაშვილი-გუგუნავა ქუჩების გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობა და ვადები - მერაბ ბარათაშვილი;
4. მერის პრესკონფერენციები - ქეთი ბერძენიშვილი;
5. ბარათაშვილი -იაშვილი - დუმბაძე - ქუჩების მიმდინარე რეაბილიტაცია (ვადები) - ნოდარ ჯიქია.
6. ფასადი ბჟოლებში - ხვიჩა ვაშაყმაძე
7. თანხების არამიზნობრივად ხარჯვა, ფასადის სანათები - ხვიჩა ვაშაყმაძე
8. საბჭოს წევრების საბჭოდან გაყვანის შესახებ მსჯელობა, რომლებიც 3-ჯერ ზედიზედ არ დასწრებიან სხდომებს.
4. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წელს დაგეგმილი აქტივობების თაობაზე ინფორმაცია.
5. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

საბჭომ ერთობლივად განიხილა გოჩა ჩხეტიას და თორნიკე ბარათაშვილის საკითხები, რომელიც ეხებოდა თეთრ ხიდზე სტიკერების გაკვრის გამო მოქალაქის დაჯარიმებას და ჯარიმის გაუქმებას და სიტყვის თავისუფლების სტანდარტის დაცვის საკითხებს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, თამარ ხეცურიანი, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

დადგინდა: მიეცეს რეკომენდაცია ქალაქის მერს შესაბამის სამსახურებთან ერთად გადახედოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 11 წევრი
წინააღმდეგი: 1 წევრი
თავი შეიკავა: 1 წევრი

საკითხებზე ნიკეა-თაბუკაშვილი-გუგუნავა გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობა და ვადები - მერაბ ბარათაშვილი; ბარათაშვილი -იაშვილი - დუმბაძე - ქუჩების მიმდინარე რეაბილიტაცია (ვადები) - ნოდარ ჯიქია. ფასადი ბჟოლებში - ხვიჩა ვაშაყმაძე; თანხების არამიზნობრივად ხარჯვა, ფასადის სანათები - ხვიჩა ვაშაყმაძე - საბჭომ ერთობლივად იმსჯელა, თუმცა კონკრეტული რეკომენდაცია მერიის მხრიდან მომხსენებლების არ ყოფნის გამო საბჭოს არ მიუღია.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, თამარ ხეცურიანი, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

4. მერის პრესკონფერენციები - ქეთი ბერძენიშვილი;

საბჭოს წევრებმა განიხილეს მერის პრესკონფერენციის საკითხი, სადაც გამოიკვეთა 2 განსხვავებული მოსაზრება: 1. ქალაქის მერმა გარკვეული პერიოდულობით გამართოს პრესკონფერენცია, ბრიფინგი, ანგარიშგება. ქალაქში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით; 2. მერიის პრესსამსახურმა იმუშავოს უფრო აქტიურად და ოპერატიულად და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მერიის საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, თამარ ხეცურიანი, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

დადგინდა: მომზადდეს საკითხი და განიხილული იქნას მომდევნო სხდომაზე.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 9 წევრი
წინააღმდეგი: 2 წევრი
თავი შეიკავა: 2 წევრი

8.საბჭოს წევრების საბჭოდან გაყვანის შესახებ მსჯელობა, რომლებიც 3-ჯერ ზედიზედ არ დასწრებიან სხდომებს.

საბჭომ იხელმძღვანელა მრჩეველთა საბჭოს დებულების 5.8. მუხლით, რომლის თანახმად: "თუ საბჭოს წევრი არ ესწრება საბჭოს სხდომებს ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში, საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს საბჭოს წევრობის შეწყვეტის თაობაზე".

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - მოახსენა საბჭოს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც 3 თვის განმავლობაში არ დასწრებიან საბჭოს სხდომებს. მონაცემები 6 თვის (მე-3, 4, 5, 6, 7, 8 სხდომების მიხედვით) არის მომზადებული. საბჭოს წევრები: ალექსანდრე ჩინჩალაძე (4 თვე ზედიზედ), შოთა გვენეტაძე (5 თვე ზედიზედ), ღუტუშა (დიმიტრი) კვანტალიანი (5 თვე ზედიზედ), ამბერკი დვალიშვილი (6 თვე ზედიზედ), ქართლოს კუტივაძე (6 თვე ზედიზედ). ასევე მდივანმა მოახსენა საბჭოს, რომ წევრებმა: ამბერკი დვალიშვილი და ალექსანდრე ჩინჩალაძე პირადად მიმართეს საბჭოს მათი საბჭოს წევრობიდან გასვლის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, თამარ ხეცურიანი, ინგა ამბამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

დადგინდა: საბჭო რეკომენდაციას უწევს მერს დააკმაყოფილოს წევრების: ამბერკ დვალიშვილის და ალექსანდრე ჩინჩალაძის განცხადება წევრობიდან გასვლის საკითხზე და მიიღოს გადაწყვეტილება წევრების: შოთა გვენეტაძის, ქართლოს კუტივაძისა და ღუტუშა (დიმიტრი) კვანტალიანის საბჭოს წევრობის შეწყვეტის შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 13 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი

4.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წელს დაგეგმილი აქტივობების თაობაზე ინფორმაცია.

მომხსენებელი ზაზა ჩხიკვაძე, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარების და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი

ზაზა ჩხიკვაძემ ისაუბრა მერიის მიერ 2019 წელს დაგეგმილი სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. კერძოდ, რიონის პირა სახლები

რესტავრაცია, ადაპტირება (30 000 000 მილიონი ლარი), ბოტანიკური ბაღიდან ხიდის გაკეთების და გაპონოვის ქუჩის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ოლიმპიური საცურაო კომპლექსის მშენებლობის შესახებ და სხვა პროექტებზე.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე): სასურველია, რომ ყველა ეს პროექტები მანამდე იქნას განხილული მრჩეველთა საბჭოზე სანამ მოხდება მათი განხორციელება და რაც შეიძლება მეტი მოქალაქე იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი): სასურველია, რომ მიმდინარეობდეს სამოქალაქო მონიტორინგის ფარგლებში ამ სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობა ადგილობრივი მოსახლეობიდან, რადგან დგინდება, რომ ზოგიერთი პროექტი ადგილზე მისვლის გარეშე გაკეთდა და პრობლემები შექმნათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, თამარ ხეცურიანი, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

დადგინდა: მრჩეველთა საბჭოს მომდევნო მეათე სხდომა გაიმართოს 2019 წლის 28 თებერვალს 14:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე